განკარგულება:**g-37. 37253039**
თარიღი:**30/10/2025**

განკარგულება N51

30 ოქტომბერი 2025 წელი

ქ. ოზურგეთი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანულ კანონის „ადგილობრივ თვითმმართველობის კოდექსი“ 24–ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ.დ“ ქვეპუნქტის, 28–ე მუხლის მე-2 ნაწილის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო დროებითი კომისიის 2025 წლის 30 ოქტომბრის №5 სხდომის ოქმის შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო დროებითი კომისიის 2025 წლის 30 ოქტომბრის №5 სხდომის ოქმის შესაბამისად:

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო შედგება 46 წევრისგან, აქედან: 41 წევრი (89,1 პროცენტი) არის ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ წევრი, 3 წევრი (6,5 პროცენტი) – ფრაქცია „ხალხის ძალა“ წევრი, ხოლო 2 წევრი (4.3 პროცენტი) არის უფრაქციო წევრი.

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების სრულფასოვნად ფუნქციონირების მიზნით განისაზღვროს თითოეული კომისიის შემადგენლობა 19 წევრით.

3. განისაზღვროს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციების პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები თითოეულ კომისიაში შემდეგნაირად:

ა) ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“– 16 (თექვსმეტი) კომისიის წევრი;

ბ) ფრაქცია „ხალხის ძალას“– 1 (ერთი) კომისიის წევრი;

გ) საკრებულოს უფრაქციო 2 (ორი) წევრი კომისიის წევრი ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით, პირადი განცხადების საფუძველზე.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში

გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის:ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ.№14).

მუხლი 3. ეს განკარგულება ამოქმედდეს 2025 წლის 30 ოქტომბრიდან.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი